ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 32

ქ. მცხეთა

2023 წელი

ერთი მხრივ - შპს ,,მცხეთის სოფწყალი" (მისამართი: ქ. მცხეთა, აღმაშენებლის #73) წარმოდგენილი დირექტორის ირაკლი ჩხაიძეს სახით **(,,შემსყიდველი")**, და მეორე მხრივ - ი/მ ილია ოდიშელიძე (მის.: მცხეთა, წერეთლის ქ. 27ა) **(,,მიმწოდებელი")**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს: მცხეთის მუნიციპალიტეტის 3 სოფელში, კერძოდ: წილკანში, ძალისში და ვაზიანში არსებული 3 ჭაბურღილის ვიდეო თვალით კვლევის მომსახურება (CPV76470000 - ჭაბურღილის შემოწმებასთან დაკავშირებული მომსახურებები), ერთი ჭაბურღილის კვლევის საფასური შეადგენს 2166,67 ლარი, საერთო ღირებულებით 6500,01 ლარი.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება - გამარტივებული შესყიდვა (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ,,საქართველოს კანონის" მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის შესაბამისად).

2. ხელშეკრულების ფასი

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 6500,01 (ექვსი ათას ხუთასი ლარი და 0,01 თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ფასი საბოლოოა და ითვალისწინებს მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე უფლებამოსილია შემსყიდველი მხარე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერასუზრუნველყოფს შემსყიდველის მხრიდან - შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს მთავარი ინჟინერი თეიმურაზ ოსიშვილი.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ფორსმაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. დავების გადაწყვეტა

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 1 აგვისტომდე.

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულება გაფორმებულია ელექტრონულად, ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს ,,მცხეთის სოფწყალი“	ი/მ ილია ოდიშელიძე
მის: მცხეთა, აღმაშენებლის N73	
სს „ლიბერთი ბანკი“	საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE78LB0113162465564000	ა/ა GE89BG 0000 000499369661
ს/კ: 436034104	პ.ნ.31001009473
დირექტორი	ი/მ
ი. ჩხაიძე	ი. ოდიშელიძე
---	---

LLC Village water of Mtskheta Digitally signed by LLC Village water of Mtskheta Date: 2023.04.24 16:20:15 +04'00'

Ilia Odishelidze Digitally signed by Ilia Odishelidze Date: 2023.04.24 16:21:59 +04'00'

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. მცხეთა 2023 წ.

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ დაკავშირებული საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფები ი/მ ილია ოდიშელიძესთან.

შპს ,,მცხეთის სოფწყალი"-ს დირექტორი ი. ჩხაიძე

შპს „მცხეთის სოფწყალი"-ს მთავარი ინჟინერი თ. ოსიშვილი